სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/50

ქ. თბილისი 29 აპრილი 2026წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/48 დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 31 მარტის №129 დადგენილების, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 2 მარტის №27 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 აპრილის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-04/48 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-13 მუხლის:

ა.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს ტესტირების, უნივერსიტეტის შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

ა. ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„8. იმ შემთხვევაში, თუ რეიტინგული სიის შედგენისას აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი“;

ბ) 22-ე მუხლს დაემატოს მე-18 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის კოოპერაციული ფორმით განხორციელების პროცესში მონაწილე პარტნიორი ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის მართვის სისტემაში განთავსებას.“;

გ) 26-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტს არ გააჩნია ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პროგრამა, პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას, რათა მან დაასრულოს სწავლა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.“;

დ) 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით იქმნება საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც შეისწავლის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო ყველა დოკუმენტაციას.“;

ე) 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია

დადასტურდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.
3. პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეტაპების დაცვით, აღნიშნული ეტაპებისთვის განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე და შესაბამისი ჩარიცხვის წლისთვის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.".

3) წესს დაემატოს 37-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. 2026 წელს პროფესიულ სტუდენტთა მიღება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე
1. 2026 წელს უნივერსიტეტი უფლებამოსილია, უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მიღება განახორციელოს აგრეთვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" (შემდგომ – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება) შესაბამისად.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, აბიტურიენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და რეგისტრაციისას აირჩევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღების გამოცხადების მიზნით, უნივერსიტეტი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრას და ანკეტა-კითხვარის ელექტრონულად შევსებას მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელი საგანი/საგნები, შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით, მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ანკეტა-კითხვარში შევსებულ ინფორმაციასთან ერთად აისახება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, რანჟირების დოკუმენტის შედგენა, აგრეთვე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა ამავე პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 25-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
6. მართვის სისტემა უზრუნველყოფს უნივერსიტეტისთვის რანჟირების დოკუმენტის ხელმისაწვდომობას მართვის სისტემაში ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის მიხედვით.
7. ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში აბიტურიენტი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის უზრუნველყოფს ამ წესის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენას.
8. აბიტურიენტის ჩარიცხვა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ხორციელდება რანჟირების შესაბამისად, აბიტურიენტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
9. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიღების ფარგლებში ჩარიცხული პირებისთვის სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, არაუგვიანეს 2026 წლის პირველი ოქტომბრისა.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**